
what do we have in common

→ open call

Open Call:

Tbilisi *Common* Architecture Biennial 2020
“What Do We Have In Common”
October 17 - November 8, 2020

Application deadline:

July 31, 2020 23:59 CET

Important dates

Submissions open: 22 June 2020
Submissions close: 31 July 2020
Selections announced: 17 August 2020

Applications and all related questions should be directed to the following e-mail:
submit@biennial.ge Please indicate in the subject line the title of the category you are applying for. Applicants will receive confirmation of receipt of submitted documents within 24 hours. In case, confirmation is not received please, re-submit the application package once again.

Tentative version of the TAB 2020 platform can be visited and viewed at the following link:

<http://biennial.ge>

Topic

Tbilisi Architecture Biennial will accept proposals for its International Open Call from June 22 through July 31, 2020. The winning proposals will be realized during the event in October/November 2020 digitally and physically in selected locations in Tbilisi and around the world.

The notion of “commons” unites open resources of any kind: natural, cultural, spatial, material and immaterial - of which ownership and access is shared. These common resources need to be maintained, as do the collection of practices that govern and preserve them. Yet Georgia’s rapid shift to a neoliberal political system in the 1990s resulted in a new understanding of these commons - resources that are open for commodification and individualization. As finite resources, these commons need to be sustained, nurtured and managed by communities and professionals. Architects, urbanists and state institutions have a fundamental role to play in the reclamation of the commons - no more so than in Tbilisi.

The second edition of the Tbilisi Architecture Biennial, which is conceived under the name What Do We Have in Common proposes to take a closer look at the notion of commonness in

our increasingly individualized and fragmented societies. After the dramatic collapse of the Soviet Union, several barely recognized countries were added to the world map. These newly born “post-socialist” states had to undergo an inevitable but painful transformation from planned to market economy - economic transition that has been expressed in both the city’s cultural norms and its urban fabric. A “collectively” organized society became increasingly individualized, the planned urban spaces turned into more fragmented and divided ones. Entire process of urban and socio-economic transition seemed to forget the feeling of common space and collectivity. Spaces of common inhabitation and collective use have become predominantly infrastructural, turning into spaces of transition and uninterrupted functionality.

In our local reality the post-soviet spatial, political and social transformation has been accompanied by many new understandings and an urban vocabulary. The understanding of common space has developed into a very complex issue. By questioning the notion of the “common” we would like to address several layers of urban space in Tbilisi, and explore the internal and external, the material and imaginary, through examining the significance of the transformation processes and the consequences it has had on common space. The staircases, neighborhood patios, thresholds, roofs of the residential blocks, public parks and squares, rarely or unused public/private buildings, shared self-governed open spaces - they all belong to the beginnings of a “common” urban vocabulary that we attempt to enrich, study and research, by investigating ownership structures, “common” space transformations, everyday spatial common practices, the spaces of resistance and much more.

Meanwhile – COVID-19

When we started working on our second edition of the Tbilisi Architecture Biennial we asked the question ‘what do we have in common’, and to our surprise found an answer much sooner than we anticipated. With the sudden shifts in our lives resulting from the ongoing pandemic, it has become clear that ‘we are in all this together’ - nobody is spared from the effects of the virus and this has drawn us closer. Dramatic alterations to our cities and our ability to use them collectively has made clear what we really have in common, while also exposing and intensifying existing inequalities and injustices.

The impact of COVID-19 raises new questions

about the role of common spaces. What is the effect of restrictions related to public spaces on society? How can we uphold a sense of community that goes beyond borders in the midst of growing nationalism? In times of closing borders, increasingly restrictive migration policies and fragile states, it is essential to examine practices of exclusion and their consequences. This includes analyzing how the new reality of a divided continent manifests itself in public spaces.

TAB is planning to turn newly emerged restrictions into opportunities and realize the Biennial almost exclusively on a virtual platform where geographic limitations become irrelevant. The reinvented Biennial aims at becoming a voice, which can be spread even further in order to reach out to more people globally. This way the event will transform itself into a “Common Architecture Biennial”, emerging from Tbilisi but attempting to propagate the concept of “togetherness” far beyond the borders of Tbilisi and Georgia.

This expanded platform will be utilized to highlight marginal perspectives on shared spaces that are frequently overlooked in professional contexts, and open virtual windows for imaginative ways for assisting each other.

Location

Virtual space The second edition of the Tbilisi Architecture Biennial will be carried out in a digital space where the website will become the main platform of the event. It will incorporate various media in order to support diverse formats of events. Shifting the Biennial online will ensure a wider outreach and participation on a global scale. It will become a transcontinental event, activating different places worldwide and spilling its activities beyond Tbilisi. In parallel to being able to avoid the challenges imposed by the pandemic, the digital platform will open up many more possibilities and introduce new spaces for creativity that can implement ideas in new ways.

The Biennial as a platform is conceived as a space, which will bring together all emerging works, discussions and ideas under one roof. The TAB 2020 website will be formed by a digital building prototype, which will be slowly filled with the activities realized during the TAB 2020 and evolve into a common symbolic structure. The proposed ideas can be realized anywhere in the world, as long as they can be

digitally presented through the TAB 2020 platform. The works will be available for “visiting” on the platform through live streaming during the period of biennial and later archived and made accessible on the website. Each category of activities/works will take place on a separate floor.

Who can apply

All interested architects, artists, writers, scholars, urbanists, creative individuals regardless of location, age or past experience are invited to submit a proposal. The application process is free of charge.

Submission process

We accept proposals in 4 different categories:

1. Physical projects
(works/research in any physical format)
2. Digital projects
(works/research in any digital media format)
3. Educational activity / Workshop
(digital or physical)
4. Contributions to publication.

Applications must be submitted in English or Georgian. All received proposals will be rated by an international jury anonymously, based on the quality of the idea and its direct reference to the main concept of TAB 2020. Selected projects will have an opportunity to be realized in a digital or physical format with no limit to geographic locations. All projects must have a clear relation to the theme of the Biennial—“What Do We Have In Common”.

Detailed description of terms of application

1. Physical Project

Applicants are free to suggest any format of their own preference with no geographic restrictions. However, it is mandatory that the produced works have to be realized physically and should have capacity of being linked to and presented through the website of the Biennial.

Requested documents:

1. Short description of the project idea
(max. 500 words)
2. Sketch/photo/render of the work and its technical description including information on dimensions, color, orientation, working material, physical location etc.
(pdf or jpeg format)
3. Portfolio (optional) and CV of the applicant
4. Budget of the project (excel file, budget

should be indicated in Euro).

4 selected participants will be awarded a maximum amount of 3,000 Euros (incl. all taxes) each for covering production costs as well as artistic fees. 1 additional project will be funded with a maximum of 2,000 Euros (incl. all taxes) for covering production costs and artists’ fees. In case the budget exceeds the amount designated by the Biennial, the applicants are welcome to provide additional funding from the other sources

2. Digital Project

Applicants are free to suggest any format of their own preference, which can be realized in a digital media. It is mandatory that the images of work should have capacity of being linked to and presented through the website of the Biennial.

Requested documents:

1. Short description of the project idea
(max. 500 words)
2. Sketch/photo/render of the work and its technical description including information on dimensions, color, orientation, working material etc. (pdf or jpeg format)
3. Portfolio (optional) and CV of the applicant
4. Detailed budget of the project (excel file, budget should be indicated in Euro).

5 selected participants will be awarded a maximum amount of 1,000 Euros (incl. all taxes) each for covering production costs as well as artistic fees. In case the budget exceeds the amount designated by the Biennial, the applicants are welcome to provide additional funding from the other sources.

3. Educational Activity/Workshop

There will be two workshops offered in the frames of TAB 2020. Their duration may vary depending on the situation regarding COVID-19 and ability to conduct them as physical or digital events with duration between 5 days (full time, physical space) and two weeks (half day online events).

Those interested in facilitation of the workshops are welcome to submit the following documents:

1. CV and portfolio of the applicant
2. Description of the concept including topic and components of the workshop (max. 500 words). Selected facilitators will be offered honorarium in an amount of 2,000 Euros (incl. all taxes). All

other costs related to travel and accommodation (in case it is possible), rental of premises and workshop materials will be covered by the Biennial.

Note: This open call is for selection of facilitators and themes of the workshops only. Separate open call for selection of participants will be announced at a later date.

4. Contributions to publication

Tbilisi Architecture Biennial plans to build on its previous experience and this time encourages inclusion of articles/texts of even more diverse groups in its publication. Papers will be selected through the open call which will allow researchers, young professionals, scholars, urbanists, artists and other interested stakeholders from a wide range of disciplines to submit abstracts that focus on the main topic of the Biennial “What Do We Have in Common”.

Applicants should submit abstracts of up to 500 words along with a motivation letter (max. 300 words) and a short bio of the author (max. 250 words). All submissions will be subject to review by an invited jury. Language of submission is English or Georgian, format: pdf file.

8 selected candidates will be awarded a lump sum of 600 Euros. This sum includes all applicable taxes. All selected papers will be included in the publication of the Tbilisi Architecture Biennial 2020. Submitted papers/texts should not already have been published earlier in any academic or relative publications.

Selection process

Proposals will be evaluated by an international interdisciplinary jury, which will consist of the representatives of the partner organizations of the Tbilisi Architecture Biennial MetaLab (Ukraine), C/O NOW (Germany), Meleem Skopje (North Macedonia) and invited experts. The applications will be kept anonymous and randomized to make sure each submission receives the same fair consideration.

In each of the categories of physical project, digital project and contribution to publication one grant will be awarded to a Ukrainian applicant.

The contest will be held in two steps. During the first step the jury will review all applications to select a short-list of the best proposals. Repre-

sentatives of the shortlisted projects will then be invited to interviews which will be conducted on August 12-14, 2020. The jury will evaluate the projects based on the relevance of the concept with the main topic of the Biennial, their impact, feasibility, urgency of the topic and conformity with the suggested terms of application and budget. The jury reserves the right not to reveal a winner if none of submitted applications fulfill requirements of the contest.

Results

Final decision on the outcomes of the open call will be announced on August 17, 2020.

Copyright

Project participants will retain all rights to their ideas and designs. The Biennial retains the right to create printed and digital materials including the works/research created by artists, crediting the artists. In the case selected project will have a potential for commercial sale, contract with the winner will include a specific paragraph of additional agreement on the commission fees.

Original applications and supporting materials (description, budget, sketches/photos/renders) will be kept in the archive of the Tbilisi Architecture Biennial and not be transferred to the third parties.

what do we
have in
common

→ open
call

ღია კონკურსი:

2020 წლის თბილისის *საერთო*
არქიტექტურის ბიენალე
“რა გვაქვს საერთო”
2020 წლის 17 ოქტომბერი – 8 ნოემბერი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა:

2020 წლის 31 ივლისი
23:59, ცენტრალური ევროპის დრო

მნიშვნელოვანი თარიღები

განაცხადების მიღების დაწყება: 2020 წლის
22 ივნისი
განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2020
წლის 31 ივლისი
კონკურსის შედეგების გამოცხადება: 2020
წლის 17 აგვისტო

განაცხადები და კონკურსთან
დაკავშირებული კითხვები უნდა
გამოგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე: submit@biennial.ge. მეილის
სათაურში მიუთითეთ კონკურსის იმ
კატეგორიის დასახელება, რომელშიც
მონაწილეობის მიღება გსურთ. განაცხადის

გამოგზავნის შემდეგ 24 საათის
განმავლობაში მოგივით საბუთების
მიღების დამადასტურებელი წერილი.
იმ შემთხვევაში, თუ პასუხი არ მოგივით,
გთხოვთ, განაცხადის პაკეტი ხელახლა
გამოგზავნოთ
2020 წლის თბილისის არქიტექტურის
ბიენალეს ონლაინ პლატფორმის საცდელი
ვერსიის ნახვა შესაძლებელია შემდეგ
ბმულზე: <http://biennial.ge>

თემის შესახებ

2020 წლის 22 ივნისიდან 31 ივლისის
ჩათვლით თბილისის არქიტექტურის
ბიენალე საერთაშორისო კონკურსის
ფარგლებში მიიღებს განაცხადებს.
გამარჯვებული პროექტები
განხორციელდება წინასწარ შერჩეულ
ადგილებში თბილისსა და მსოფლიოს
ნებისმიერ წერტილში 2020 წლის ოქტომბერ-
ნოემბრის თვეებში, როგორც ციფრულ, ასევე
ფიზიკურ ფორმატში.
„საერთოობის“ ცნება ნებისმიერი ტიპის
ისეთ ბუნებრივ, კულტურულ, სივრცით,
მატერიალურ და არამატერიალურ ღია
რესურსს აერთიანებს, რომლის საკუთრების
უფლება და რომელზე წვდომაც საზიაროა.
ამავე დროს, საერთოობა ისეთი პრაქტიკების

ერთობლიობაცაა, რომლებიც მათ მართავენ, ინარჩუნებენ და, თავის მხრივ, დაცვას საჭიროებენ. 1990-იან წლებში საქართველოს ნეოლიბერალურ პოლიტიკურ სისტემაზე სწრაფმა გადასვლამ საერთოობის ახალი გაგება – პროდუქტად ქცევისა და ინდივიდუალიზაციის ღია რესურსები წარმოშვა.

საჭირო გახდა თემებისა და პროფესიონალების მიერ საერთო ამონურვადი რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფა, მათი განვითარება და მართვა. სივრცითი საერთოობის შენარჩუნებაში არქიტექტორებს, ურბანისტებსა და სახელმწიფო ინსტიტუციებს ფუნდამენტური როლის შესრულება დაეკისრათ. ამ მხრივ გამონაკლისი არც თბილისია.

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მეორე გამოშვება, სახელწოდებით „რა გვაქვს საერთო“, ჩვენს ინდივიდუალისტურ და ფრაგმენტულად დანაწევრებულ საზოგადოებებში სწორედ არსებული საერთოობის საკითხის უფრო ღრმად შესწავლას აპირებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო რუკას რამდენიმე ახალი ქვეყანა დაემატა. ამ „პოსტსოციალისტურ“ სახელმწიფოებს გარდაუვალი და მტკივნეული გარდაქმნის პროცესის გავლა მოუხდათ. გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ეკონომიკური სისტემის ცვლილება როგორც ქალაქის კულტურული ნორმების, ისე მისი ურბანული სტრუქტურის ტრანსფორმაციაში გამოიხატა. „კოლექტივად“ ჩამოყალიბებული საზოგადოება სულ უფრო და უფრო ინდივიდუალისტური, მისი დაგეგმილი ურბანული სივრცეები კი ფრაგმენტული და დანაწევრებული გახდა. ამ პროცესებმა საერთო სივრცეებისა და მათი კოლექტიურობის გრძნობა თითქოს საბოლოოდ გადაფარა. საერთო და საზიარო სარგებლობის ადგილები უმეტესწილად ინფრასტრუქტურით ჩანაცვლდა და ტრანზიტისა და უწყვეტი ფუნქციონირების სივრცეებად გარდაიქმნა.

ჩვენს ადგილობრივ რეალობაში პოსტსაბჭოთა სივრცით, პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებს ბევრი ახალი ცნების შემოღება და ურბანული ტერმინის გაჩენა სდევდა თან. საერთო სივრცის აღქმა ძალიან კომპლექსურ საკითხად ჩამოყალიბდა. „საერთოობის“ კრიტიკული გააზრების საშუალებით, ჩვენ გვსურს

თბილისის ურბანული სივრცის შიდა და გარე, მატერიალური და წარმოსახვითი გარდაქმნის პროცესის მნიშვნელობისა და საზიარო სივრცეებზე მათი გავლენის შესწავლა. კიბის უჭრედები, შესასვლელები, საცხოვრებელი სახლების სახურავები, საჯარო პარკები და სკვერები, იშვიათად ან სრულიად გამოუყენებელი საერთო სარგებლობის ან კერძო შენობები, საზიარო თვითმართული ღია სივრცეები – ერთობლივად იმ „საერთო“ ურბანული ლექსიკონის ნაწილს წარმოადგენენ, რომლის შესწავლასა და კვლევასაც ვაპირებთ. ამავდროულად, ჩვენი დაკვირვების ობიექტია საკუთრების უფლების წარმოშობა, „საერთო“ სივრცეების გარდაქმნის პროცესი, ყოველდღიური ურბანული პრაქტიკები, პროტესტისა და წინააღმდეგობის სივრცეები და სხვა მრავალი.

ამასობაში - COVID-19

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მეორე გამოშვებაზე მუშაობის დანწყებისას დავსვით შეკითხვა: „რა გვაქვს საერთო“ და მოულოდნელად პასუხი უფრო ადრე ვიპოვეთ, ვიდრე ველოდით. პანდემიის გამო ჩვენს ცხოვრებაში მომხდარმა უეცარმა ცვლილებებმა ცხადყო, რომ „საერთო“ გაცილებით უფრო მეტი გვაქვს და რომ ვირუსისაგან არავინაა დაზღვეული. ეს გარემოება უფრო გვაახლოებს. ქალაქების დრამატულმა ცვლილებამ და ჩვენ მიერ მათმა კოლექტიურად გამოყენებამ გამოააშკარავა ის, რაც მართლაც საერთოა. ამავე დროს, პანდემიამ მსოფლიოში არსებული უთანასწორობა და უსამართლობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოავლინა და გააძლიერა.

COVID-19-ის გავრცელება ახალ შეკითხვებს აჩენს საერთო სივრცეებთან დაკავშირებით. როგორია საერთო სივრცეების მიმართ დანესებული შეზღუდვების საზოგადოებაზე გავლენა? როგორ შეგვიძლია მზარდი ნაციონალიზმის პარალელურად საერთოობის განცდის შენარჩუნება, რომელიც ფიზიკურ საზღვრებს სცდება? ცალკეული ქვეყნების ჩაკეტვის, მზარდი მკაცრი საემიგრაციო პოლიტიკისა და მყიდვე სახელმწიფოების არსებობის დროს, მნიშვნელოვანია ექსკლუზიის, უთანასწორობის და მისი შედეგების შესწავლა. ეს ასევე იმის ანალიზსაც მოიცავს, თუ როგორ აისახება დანაწევრებული კონტინენტი და მასთან დაკავშირებული ახალი რეალობა საჯარო

სივრცეებში. თბილისის არქიტექტურის ბიენალე აპირებს, ახლად წარმოშობილი შეზღუდვები შესაძლებლობებად აქციოს და ღონისძიება თითქმის მთლიანად იმ ციფრულ პლატფორმაზე ჩაატაროს, სადაც გეოგრაფიული შეზღუდვები უმნიშვნელო ხდება. ბიენალეს ახალი ფორმატის გამოყენებით სურს იმ ხმად გადაიქცეს, რომელიც მეტ ადამიანამდე მიაღწევს და უფრო დიდ ტერიტორიას მოიცავს. ამგვარად, 2020 წლის ღონისძიება „საერთო არქიტექტურულ ბიენალედ“ იქცევა, რომელიც სათავეს თბილისიდან აიღებს, მაგრამ ამ იდეის გავრცელებას თბილისისა და საქართველოს საზღვრებს გარეთაც შეეცდება.

ბიენალეს გაფართოებული პლატფორმა, ახალი ციფრული სივრცეების გახსნით, საზიარო სივრცეებზე არსებულ იმ მარგინალურ პერსპექტივებსაც მოიცავს, რომლებსაც პროფესიულ კონტექსტში ხშირად სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ჩატარების ადგილი

ვირტუალური სივრცე თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მეორე გამოშვება ციფრულ სივრცეში ჩატარდება და ღონისძიების მთავარ პლატფორმად მისი ვებგვერდი იქცევა. განსხვავებული ფორმატების უზრუნველსაყოფად, ვებგვერდი თავს მოუყრის სხვადასხვა მედიას, ღონისძიებების ონლაინ რეჟიმში ჩატარება კი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მყოფი დაინტერესებული პირების მეტ ჩართულობასა და მონაწილეობას უზრუნველყოფს. ამგვარად, ბიენალე იქცევა სხვადასხვა კონტინენტზე გამართულ ღონისძიებად, რომელიც მისთვის თავდაპირველად განსაზღვრულ ადგილს თბილისში გასცდება და მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა კუთხეს გაააქტიურებს. პანდემიის შედეგად გაჩენილი გამოწვევების თავიდან აცილების გარდა, ციფრული პლატფორმა ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს და შემოქმედებითი პროცესების განხორციელების ისეთ ინოვაციურ სივრცეს ქმნის, რომელსაც ახალი იდეების დასაწერად სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება შეუძლია.

ბიენალე როგორც პლატფორმა იქცევა იმ ადგილად, რომელიც მის ფარგლებში შექმნილ ნამუშევრებს, გამართულ დისკუსიებსა და წარმოშობილ იდეებს ერთად მოუყრის თავს. 2020 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს

ვებგვერდი ციფრული შენობის პროტოტიპს წარმოადგენს, რომელიც 2020 წლის ღონისძიების მსვლელობისას განხორციელებული აქტივობებით ნელ-ნელა შეივსება და საბოლოოდ საერთო სტრუქტურად ჩამოყალიბდება. კონკურსის ფარგლებში შემოთავაზებული იდეები შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განხორციელდეს, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მათი პლატფორმაზე ციფრულ ფორმატში წარდგენა იქნება შესაძლებელი. ნამუშევრები პლატფორმაზე სტრიმინგის საშუალებით ბიენალეს მთელი მიმდინარეობის პერიოდში იქნება ხელმისაწვდომი. ღონისძიების დასრულების შემდეგ კი ისინი არქივის განყოფილებაში გადაინაცვლებს და მათზე წვდომა ვებგვერდზე იქნება შესაძლებელი, ხოლო სხვადასხვა კატეგორიის აქტივობების ან ნამუშევრების მონახულება – ციფრული შენობის სხვადასხვა სართულზე.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლია ყველა დაინტერესებულ არქიტექტორს, ხელოვანს, მწერალს, მეცნიერს, ურბანისტსა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელ ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად გეოგრაფიული ადგილისა, ასაკისა ან წარსული გამოცდილებისა. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

განაცხადების შემოტანის პროცესი

კონკურსი აერთიანებს ოთხ სხვადასხვა კატეგორიას:

1. ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი (ნამუშევარი/კვლევა ნებისმიერ ფიზიკურ ფორმატში)
2. ციფრულ სივრცეში განხორციელებული პროექტი (ნამუშევარი/კვლევა ნებისმიერ ციფრულ ფორმატში)
3. საგანმანათლებლო აქტივობა / ვორქშოფი (ციფრულ ან ფიზიკურ ფორმატში)
4. ნაშრომები პუბლიკაციისთვის.

კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე. ყველა მიღებულ განაცხადს საერთაშორისო ჟიური იდეის ხარისხისა და 2020 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან უშუალო კავშირის გათვალისწინებით, ანონიმურად შეაფასებს. შესაძლებელი იქნება შერჩეული

პროექტების გეოგრაფიული შეზღუდვის გარეშე ციფრულ ან ფიზიკურ ფორმატში განხორციელება. ყველა პროექტი მკაფიოდ უნდა ეხმაურებოდეს ბიენალეს თემას „რა გვაქვს საერთო“.

განაცხადის მომზადების პირობების დეტალური აღწერა

1. ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი კონკურსის მონაწილეებს თავად შეუძლიათ მათთვის სასურველი ფორმატის გეოგრაფიული შეზღუდვების გარეშე შემოთავაზება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ფიზიკურ ფორმატში განხორციელებული პროექტის ბიენალეს ვებგვერდზე ბმისა და მისი იქ წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

კონკურსზე გასაგზავნი დოკუმენტები:
1. პროექტის იდეის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)
2. ნამუშევრის ჩანახატი/ფოტო/რენდერი და მისი ტექნიკური აღწერა განზომილებების, ფერის, ორიენტაციის, სამუშაო მასალის, ფიზიკური განთავსების ადგილის და ა.შ. მითითებით (pdf ან jpeg ფორმატი)
3. განმცხადებლის პორტფოლიო (არჩევითი) და CV
4. პროექტის ბიუჯეტი (excel-ის ფაილი; ბიუჯეტი შედგენილი უნდა იყოს ევროში).

ოთხი გამარჯვებული პროექტიდან თითოეულს წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად მიეცემა მაქსიმუმ 3,000 ევრო (ყველა გადასახადის ჩათვლით). ერთი დამატებითი პროექტი დაფინანსდება მაქსიმუმ 2,000 ევროთი (ყველა გადასახადის ჩათვლით) წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად. იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი გადააჭარბებს ბიენალეს მიერ დაწესებული გრანტის ოდენობას, განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

2. ციფრულ სივრცეში განხორციელებული პროექტი

კონკურსის მონაწილეებს თავად შეუძლიათ ციფრულ მედიაში განხორციელებისთვის შესაფერისი, მათთვის სასურველი ფორმატის შემოთავაზება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ციფრულ ფორმატში განხორციელებული პროექტის ბიენალეს ვებგვერდზე

ბმისა და წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. შესაფერისი მათთვის სასურველი ფორმატის შემოთავაზება. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ აუცილებელია ციფრულ ფორმატში განხორციელებული პროექტის ბიენალეს ვებგვერდზე ბმისა და წარდგენის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

კონკურსზე გასაგზავნი დოკუმენტები:
1. პროექტის იდეის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)
2. ნამუშევრის ჩანახატი/ფოტო/რენდერი და მისი ტექნიკური აღწერა განზომილებების, ფერის, ორიენტაციის, სამუშაო მასალის და ა. შ. მითითებით (pdf ან jpeg ფორმატი)
3. განმცხადებლის პორტფოლიო (არჩევითი) და CV
4. პროექტის ბიუჯეტი (excel-ის ფაილი; ბიუჯეტი შედგენილი უნდა იყოს ევროში).

ხუთი გამარჯვებული პროექტიდან თითოეულს წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად მიეცემა მაქსიმუმ 1,000 ევრო (ყველა გადასახადის ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი გადააჭარბებს ბიენალეს მიერ დაწესებულ გრანტის ოდენობას, განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდანაც მოიზიდონ.

3. საგანმანათლებლო აქტივობა/ვორქშოფი

2020 წლის თბილისის ბიენალეს ფარგლებში ორი ვორქშოფის ჩატარება იგეგმება. მათი ხანგრძლივობა, COVID-19-თან დაკავშირებული სიტუაციიდან და მათი ფიზიკურ ან ციფრულ სივრცეში ჩატარების აუცილებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა შეიძლება იყოს. ისინი შესაძლოა 5 დღეს (სრული დატვირთვა, ფიზიკური სივრცე) ან ორ კვირას გაგრძელდეს (ნახევარდღიანი ონლაინ შეხვედრები).

ვორქშოფის ჩატარებით დაინტერესებულმა პირებმა შემდეგი დოკუმენტები უნდა გამოაგზავნონ:

1. განმცხადებლის CV და პორტფოლიო
2. ვორქშოფის კონცეფციის აღწერა მისი შემადგენელი კომპონენტების ჩათვლით (მაქსიმუმ 500 სიტყვა). შერჩეულ ფასილიტატორებს ბიენალე 2,000 ევროს ოდენობის ჰონორარს გადაუხდის (ყველა გადასახადის ჩათვლით). ყველა სხვა ხარჯს (შესაძლებლობიდან გამომდინარე მგზავრობა და სასტუმრო, ვორქშოფის ჩასატარებელი ადგილის ქირა და მასალები)

ბიენალე დაფარავს.

შენიშვნა: ეს კონკურსი ცხადდება მხოლოდ და მხოლოდ ვორქშოფის ფასილიტატორისა და თემების შესარჩევად. ვორქშოფის მონაწილეთა შესარჩევი კონკურსი დამატებით მოგვიანებით გამოცხადდება.

4. ნაშრომები პუბლიკაციისთვის

თბილისის არქიტექტურის ბიენალე, წინა გამოცდილებიდან გამომდინარე, წლევანდელ პუბლიკაციაში უფრო მეტი სტატიისა და ტექსტის გამოქვეყნებას გეგმავს და, შესაბამისად, მეტი ავტორის ჩართვას აპირებს. სტატიები შეირჩევა კონკურსის გზით, რომელიც სხვადასხვა დისციპლინაში მომუშავე მკვლევრებს, ახალგაზრდა პროფესიონალებს, მეცნიერებს, ურბანისტებს, ხელოვანებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს ტექსტის რეზიუმეების გამოგზავნის საშუალებას მისცემს. ყველა ტექსტი თემატურად დაკავშირებული უნდა იყოს ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან „რა გვაქვს საერთო“.

განმცხადებლებმა უნდა გამოგზავნონ ტექსტის რეზიუმეები (მაქსიმუმ 500 სიტყვა), სამოტივაციო წერილი (მაქსიმუმ 300 სიტყვა) და მოკლე ბიოგრაფია (მაქსიმუმ 250 სიტყვა). ყველა მიღებულ განაცხადს გადახედავს მონვეული ჟიური. განაცხადები უნდა გამოიგზავნოს ინგლისურ ან ქართულ ენებზე (pdf ფორმატი).

რვა შერჩეულ კანდიდატს გადაეცემა 600 ევროს ოდენობის ჰონორარი (შეიცავს ყველა გადასახადს). ყველა შერჩეული სტატია/ტექსტი გამოქვეყნდება 2020 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს პუბლიკაციაში. კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა, სტატიები/ტექსტები მანამდე არ იყოს გამოქვეყნებული რომელიმე აკადემიურ ან სხვა ტიპის გამოცემაში.

გამარჯვებულების შერჩევის პროცესი

საკონკურსო განაცხადებს შეაფასებს თბილისის არქიტექტურის ბიენალეს პარტნიორი ორგანიზაციების (MetaLab, უკრაინა; C/O NOW, გერმანია; Meleem Skopje, ჩრდილოეთი მაკედონია) წარმომადგენლებისა და მონვეული ექსპერტებისგან შემდგარი საერთაშორისო ინტერდისციპლინური ჟიური. განაცხადები განიხილება ანონიმურად

და ჟიურის წევრებისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაცემით, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი მაქსიმალურად მიუკერძოებლად შეფასება. კატეგორიებში: ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი, ციფრული სივრცეში განხორციელებული პროექტი და ნაშრომები პუბლიკაციისათვის თითო-თითო გრანტი მიენიჭება უკრაინელ განმცხადებელს.

კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჟიური განიხილავს ყველა განაცხადს და მათგან საუკეთესოთა მოკლე სიას შეადგენს. მოკლე სიაში მოხვედრილი პროექტების ავტორები მონვეული იქნებიან ინტერვიუებზე, რომლებიც 2020 წლის 12-14 აგვისტოს ჩატარდება. ჟიური პროექტებს ბიენალეს მთავარ თემასთან შესაბამისობის, მათი გავლენის, მდგრადობის, განხორციელების შესაძლებლობის, თემის აქტუალობისა და კონკურსის პირობებისა და ბიუჯეტის შესაბამისობის გათვალისწინებით შეაფასებს. ჟიური იტოვებს უფლებას, არ გამოავლინოს გამარჯვებული იმ შემთხვევაში, თუკი, მისი აზრით, კონკურსის მოთხოვნებს განაცხადებიდან ვერცერთი ვერ დააკმაყოფილებს.

შედეგები

საბოლოო გადანყვეტილება კონკურსის შედეგების შესახებ გამოქვეყნდება 2020 წლის 17 აგვისტოს.

საავტორო უფლებები

პროექტის მონაწილეები შეინარჩუნებენ ყველა უფლებას თავიანთ იდეებსა და დიზაინზე. ბიენალე იტოვებს უფლებას, მონაწილეების მიერ შექმნილი ნამუშევრების/კვლევის მასალების ბეჭდური და ციფრული ვერსიები ავტორის მითითებით გამოიყენოს. შერჩეული პროექტების გაყიდვის პოტენციალის არსებობის შემთხვევაში, გამარჯვებულ ავტორთან გაფორმებულ კონტრაქტს დაემატება პუნქტი ბიენალესთვის საკომისიო გადასახადის პირობების შესახებ. გამოგზავნილი განაცხადები და დამატებითი მასალები (აღწერა, ბიუჯეტი, ჩანახატები/ფოტოები/რენდერები) თბილისის არქიტექტურის ბიენალეს არქივში შეინახება და მესამე პირებს არ გადაეცემა.